

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020183003481520

№ 115-04

31 / ივლისი / 2020 წ.

„ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში, ჯვარის ელექტროქვესადგურისა (50/220კვ) და ხორგა-ჯვარის ელექტროქვესადგურების დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების (500კვ და 220კვ) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2016 წლის 31 მაისის N77-04 ბრძანებასა და მის საფუძველზე გაცემულ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სანებართვო მოწმობა N408-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში, ჯვარის ელექტროქვესადგურისა (50/220კვ) და ხორგა-ჯვარის ელექტროქვესადგურების დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების (500კვ და 220კვ) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2016 წლის 31 მაისის N77-04 ბრძანების მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მშენებლობის ნებართვა ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“.

2. შეტანილ იქნეს ცვლილება ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში, ჯვარის ელექტროქვესადგურისა (50/220კვ) და ხორგა-ჯვარის ელექტროქვესადგურების დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების (500კვ და 220კვ) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2016 წლის 31 მაისის N77-04 ბრძანების საფუძველზე გაცემულ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სანებართვო მოწმობა N408-ში და ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2).

4. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.


საფუძველი:

1.შპს „ენერგოტრანსი“-ს 2020 წლის 6 ივლისის N312 განცხადება.

2.სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის

ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ბარქაიას N1507/04 31.07.2020 წლის მოხსენებითი ბარათი.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია 
ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე